საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

არქიტექტურის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ინტერიერის დიზაინი

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

არქიტექტურის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლაშა ჩლაიძე

დამტკიცებულიათსსა არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს მიერ

2023 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმი №14

თსსა აკადემიური საბჭოს

2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

ინტერიერის დიზაინის სამაგისტრო პროგრამა 2008 წლიდან ფუნქციონირებს და მასში თავმოყრილია ინტერიერის დიზაინის თანამედროვე თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული მიმართულებები, არქიტექტურის უახლესი თეორია, საინჟინრო დისციპლინები, გამოყენებითი ხელოვნების მოთხოვნები, ეკონომიკური საკითხები; შექმნა თანამედროვე ინტერიერი ნიშნავს ერთდროულად პასუხი გასცე მთელ რიგ მოთხოვნეს, რომლებიც ორგანულად ითავსებენ ამოცანათა მთელ კომპლექსს - ფუნქციურს, მოცულობით-სივრცობრივს, ინჟინერულ ტექნიკურს, მხატვრულ ესთეტიკურს, ფერითს, განათებითს აკუსტიკურს და სხვა.

პროგრამა ეფუძნება სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ყოველმხრივ უწყობს ხელს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

საქართველოში არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა ინტერიერის დიზაინის მიმართულების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტების აღზრდა.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს დარგის სპეციფიკის გათვალიწინებით და მიღებული ინფორმაციის ინტეგრირებით ექნება ინტერიერის ინოვაციური პროექტის შექმნის უნარი.

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწროსფერო (დარგი/სპეციალობა): 021 ხელოვნება Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0212 მოდის,ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი Fashion,Interior and Industrial Design

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0212.1.5 ინტერიერის დიზაინის მაგისტრი Master's of Interior Design

სწავლების ენა: ქართული

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მოცულობა: 123 კრედიტი (ECTS)

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი,4 სემესტრი

პროგრამის ხელმძღვანელი: ლაშა ჩლაიძე არქიტექტურის ფაკულტეტის ინტერიერის დიზაინის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

სამაგისტრო პროგრამის მიზნები:

1. მაგისტრს გაუღრმაოს სისტემური ცოდნა ინტერიერის დიზაინის უახლეს თეორიულ და გამოყენებით, (სახელოვნებო), მომიჯნავე საინჟინრო, სოციალურ, ჰუმანიტარულ და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროებში;
2. მაგისტრს გაუღრმაოს ცოდნა ინტერიერის დიზაინის და პროექტებისა და კრიტიკის პრეცედენტების თეორიასა და ისტორიაში. ასევე გაუღრმავოს ცოდნა ინტერიერის დარგისათვის სპეციფიკური მეთოდების (ფერის, განათების, ინტერიერის მცენარეების ერგონომიკის) სრულად ფლობისა და ორიგინალური იდეების განვითარებაში ;

3. მაგისტრს გაუღრმაოს ინტერიერის პროექტირებასთან დაკავშირებული საინჟინრო ეკონომიკური საკითხებისა დაპრობლემების, (სამშენებლო კონსტრუქციების ეკოლოგიური მასალების და ენერგო ეფექტური სისტემების) ამოცნობის მნიშვნელობის ცოდნა;
4. მაგისტრს გაუღრმაოს ცოდნა ინტერიერის დიზაინის უახლესი მონაცემების შეგროვების კრიტიკული მსჯელობის გაღვივების და შესაძლო პრობლემის განჭვრეტის; ასევე ანალიზის ჩატარების და სოციალურ ეთიკური პასუხისმგებლობით მოქმედების სტრატეგიის შემუშავეების ;
5. მაგისტრს გაუღრმაოს ტექნიკური პროექტირების პროცესების ცოდნა, რომლის საფუძველზეც სტუდენტი გეგმარებით სივრცით გარემოში კონსტრუქციებს, სამშენებლო მასალებს, მოსაპირკეტებელ და მომსახურე სისტემებს გააერთიანებს და განფასების ცოდნით ეფექტურად ფუნქციონირებად მთლიანობად შეკრავს;

6. მაგისტრს გაუღრმაოს ცოდნა მულტიდისციპლინურ გარემოში წარმოსახვის მოხმობის, შემოქმედებითად ფიქრის და ადამიანზე ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური ზეგავლენის მქონე ასპექტების (ფერი, განათება, ინტერიერის მცენარეები, აკუსტიკა) გათვალისწინებით ნოვატორული გზების დასახვის და თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით ინტერიერის დიზაინის პროექტის შექმნაში;

7. მაგისტრს გაუღრმაოს ცოდნა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის პროფესიულ კომპიუტერულ პროგრამების მიმართულებით რომელსაც მაგისტრი ფართოდ იყენებს კვლევის, პრაქტიკული მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესში; ასევე მისცეს ცოდნა აკადემიურ და პროფესიული საზოგადოების წინაშე იდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პროცესში გამოყენებული კვლევის მეთოდების,

არგუმენტებისა და ჩამოყალიბებული დასკვნების პრეზენტაციისა, როგორც ქართულ ისე უცხო ენებზე;

8. მაგისტრს მისცეს ცოდნა ფუნქციურ სივრცითი გარემოს (გეგმარებითი, ესთეტიკურ - მხატვრული ფასეულობის, საინჟინრო და ენერგოეფექტური სისტემების) მართვის და სოციალურად ვარგისი გარემოს განვითარებაში წვლილის შეტანის;

9. მაგისტრს ესმოდეს და აცნობიერებდეს, როგორც ტრადიციული კულტურული ისე ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, სხვების საქმიანობასა და საკუთარ პროფესიულ განვითარბაზე წვლილისშეტანის პასუხისმგებლობას;

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის, ან და ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხოურ ენაში (ინგლსურში, გერმანულში ან ფრანგულშიBIIდონე) და სპეციალობაში. სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების, უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით (CV, მოტივაციის წერილი, სარეკომენდაციო წერილი, ნიშნების ფურცელი) და კლაუზურით.

დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით www.art.edu.ge.

დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.art.edu.ge. განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის შესახებ.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრმაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ:

I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;

II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხოქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაშისხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე (იხ. თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი)

საგანმანათებლო პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი, აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან, წლის ხანგრძლივობა 40 კვირა,პირველი სემესტრის ხანგრძლივობა 19 კვირა, აქედან 15 სააუდიტორიო, 3 სასესიო,1 დამატებითი გამოცდის კვირა; მეორე სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირა აქედან 15 სააუდიტორიო, 3 სასესიო,1 დამატებითი გამოცდის კვირა; 2 კვირა პრაქტიკისსამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი: მაგისტრი ინტერიერიერის დიზაინში და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 123 ECTS და მისი სტრუქტურა ამდაგვარია :

- სპეციალობის/ძირითადი სავალდებულო საგნები 83 ECTS
- სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნები 12 ECTS
- არჩევითი საგნები 8 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი 20 ECTS

სპეციალობის სავალდებულო საგნები შემდეგ მიმართულებად იყოფა:

- ინტერიერის დიზაინის საგნები - 52 ECTS
- სპეციალობის განმსაზღვრელი თეორიული საგნები - 20 ECTS
- საინჟინრო სპეციალობის საგნები - 11 ECTS